

დამტკიცებულია :

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის

ბრძანებით # 42 31/05/2019 წელი

(ცვლილება- 2019 წლის 31 დეკემბრის # 136 ბრძანება,

2020 წლის 02 ივლისის # 36 ბრძანება ,

2020 წლის 25 დეკემბრის # 93 ბრძანება)

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო, სამართლებრივი საფუძვლები, ტერმინთა განმარტება

1.1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეცვლის ან გაუქმების, შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. სასწავლო პროცესის ორგანიზებას და მართვას. საკითხები, რომელიც არ არის მონესრიგებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რეგულირდება პროფესიულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებებით, კოლეჯის წესდებითა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიხედვით.

1.2 ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

კოლეჯი – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები;

ადმინისტრაცია - კოლეჯის ხელმძღვანელობა ან პასუხისმგებელი პირი;

პროფესიული განათლება – განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისთვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც/რომლებსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და რომელიც/რომლებიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ;

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო

კრედიტების რაოდენობა, მისალწვევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა – ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ასოცირებული ხარისხი - კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და შესაბამისი კრედიტების რაოდენობის დაგროვების შედეგად;

მსმენელი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე. ასევე პირი, რომელიც სწავლობს მოკლევადიან სასერთიფიკატო ტრენინგ-კურსზე;

გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტი - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დაძლია მოდული „ქართული ენა A2“, „ქართული ენა B1“;

აპლიკანტი – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ბოვადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/6 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“ დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მოდული – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული

ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შენეება - კოლეჯისა და სტუდენტის უფლებამოვალეობების შესრულებისაგან დროებით გათავისუფლება, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;

პროფესიული სტუდენტის მობილობა - პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

გარე მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა;

შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა;

ფორმალური განათლება - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას;

არაფორმალური განათლება - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას;

ინკლუზიური პროფესიული განათლება - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი - პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

სწავლის შედეგი - განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ;

მომზადება/გადამზადების პროგრამა, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსი, პროგრამა, რომელზეც არ გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და გაიცემა მიღებული ცოდნა-უნარების დამადასტურებელი სერტიფიკატი;

დიპლომი – უფლებამოსილი დანესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დანესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;

სერტიფიკატი – უფლებამოსილი დანესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;

შიდა სერტიფიკატი - ტრენინგ-კურსის გავლის, Cisco-ს ქსელურ აკადემიის სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.3. ტერმინებს, რომლებიც ამ წესით არ არის განმარტებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II. საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის, მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამის, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის შემუშავება

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, სახელმწიფო ენაში მომზადების, მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსების დამატება

2.1. კოლეჯის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევების საფუძველზე მზადდება ინიციატივა კოლეჯში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, სახელმწიფო ენაში მომზადებისა და მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსების შემუშავების და განხორციელების თაობაზე;

2.2. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა ინფორმაციის სახით მიეწოდება კოლეჯში მოქმედ სამეთვალყურეო საბჭოს და განიხილება კოლეჯის დირექტორის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების დასაბუთების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების არსებობის შემთხვევაში, მიიღება დადებითი გადაწყვეტილება პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით;

2.3. კოლეჯის დარგობრივი კათედრები კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და /ან ახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას;

2.4. დარგობრივი კათედრების მიერ მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

2.5. დარგობრივი კათედრების კოორდინაციაზე და პროგრამების შემუშავების ხარისხზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და (ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი) , ვინც

პროფესიულ მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე ამზადებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, სახელმწიფო ენაში მომზადების და/ან მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს, ასევე მოკლევადიან სასწავლო ტრენინგ-კურსებს, რომელებიც მტკიცდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავებას კოორდინაციას უწევს კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

2.6 საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით, ასევე არა ავტორიზებული პროგრამის ფარგლებში მომზადებული მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულება ვალდებულია გაიაროს პროგრამის მოპოვების პროცედურები.

2.7. ავტორიზებული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ფარგლებში დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები აღიარების გზით .

2.8. ინსტიტუციური ავტორიზაციის მიზნებისთვის საჭირო დოკუმენტაციას ადგენს კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრული ადმინისტრაციული პერსონალი თანამდებობრივი უფლებამოსილების შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თვითმფეთქების კითხვარის შევსებასა და თანდართული დოკუმენტაციის სისრულეზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველი არის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი.

3.2. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) შემუშავება ხდება დარგობრივი კათედრების სხდომებზე დირექტორის მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით და მტკიცდება დირექტორის მიერ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში / მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობას ღებულობენ : პროგრამების ხელმძღვანელები, ზოგადი მოდულების, ასევე შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები;

3.4. დასამტკიცებლად წარდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს თან ერთვის: სასწავლო გეგმა, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსების ჩამონათვალი, დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნის არსებობის შესახებ, პარტნიორ კომპანიებთან არსებული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი (მემორანდუმი / ხელშეკრულება) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში კოლეჯთან თანამშრომლობის შესახებ. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს;

3.5. იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებაში არსებულ C გარემოში, პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (ფართის დამადასტურებელი და აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ, ხოლო, თუ სანარმოო პრაქტიკის ობიექტი არის სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ, მაშინ პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს

პრაქტიკის განხორციელებისთვის ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი (მემორანდუმი/ ხელშეკრულება) და პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი;

3.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც), გამონაკლისს წარმოადგენს წინამდებარე წესის 3.7. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები;

3.7. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ხუთდღიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. ასეთ შემთხვევაში, დასაშვებია სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ასევე, სასწავლო კვირაში, სადაც სრულდება მოდულ(ებ)ი, შესაძლოა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ქართული ენა A2“, „ქართული ენა B1“ და მოდულების სწავლება შესაძლებელია შესრულდეს 30 საათზე ნაკლები კვირეული დატვირთვით. პროგრამები, რომელთა ხანგრძლივობაც (მოცულობა) არ არის საკმარისი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით განხორციელებისათვის, შესაძლებელია კვირეული დატვირთვა იყოს 20-30 საათიც.

3.8. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები;

3.9. სასწავლო გეგმა თავის თავში არ მოიცავს სასწავლო გეგმას „ქართული ენა A2“, „ქართული ენა B1“ მოდულებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ „ქართული ენა A2“, „ქართული ენა B1“ მოდულები არ შედის საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში, მოდულების კვირეულ დატვირთვა განერილია ცალკე. „ქართული ენა A2“, „ქართული ენა B1“ მოდულების განხორციელება/ სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება მოდულისა და კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად;

3.10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა. მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად, შეიცლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა;

3.11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ტიპის მოდულებს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, საერთო სავალდებულო, სავალდებულო პროფესიული და არჩევითი/კონცენტრაციის მოდულები. სავალდებულო ზოგადი მოდულები, საერთო სავალდებულო და სავალდებულო პროფესიული მოდულების შეცვლის უფლება დანესებულებას არ გააჩნია.

3.12. ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა ასევე შესაძლებელია შეიცვალოს გონივრული ვადით პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, მოდულებზე დაშვების წინაპირობები, „ქართული ენა A2“, „ქართული ენა B1“ მოდულების გონივრულ ვადებში განხორციელება);

3.13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა ხდება დარგობრივი კათედრების სხდომაზე;

3.14. თუკი არჩევითი მოდულის შერჩევა სადაო ხდება კათედრების სხდომაზე აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება;

3.15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის

პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სავალდებულო პროფესიულ მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ კოლეჯი უფლებამოსილია არჩევით მოდულებში გაითვალისწინოს სხვა უცხოური ენის ან ენების სწავლებაც, ან უცხოური ენის უფრო მარტივი (დაბალი დონე) ან რთული (მაღალი დონე) მოდულები, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს საშუალება უცხოური ენის სწავლა დაიწყოს მისთვის სასურველ დონეზე და დაასრულოს არჩეული მოდულის შესაბამისი დონით; ზოგადი უცხოური ენის შედეგები უნდა გამოიმუშავებდეს საგანმანათლებლო პროგრამით განვირილ სავალდებულო ზოგადი უცხო ენის კომპეტენციებს;

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის ბრძანება # 93)

მუხლი 4. მოდულის შემუშავების წესი

4.1. მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში ის ცალკე უნდა დამტკიცდეს). თუ მოდულში შევა ცვლილება, გამოიცემა სამართლებრივი აქტი, რომ შეიცვალა პროგრამის შესაბამისი დანართი;

4.2. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან - ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

4.3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია;

4.4. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები (და არა მიმართულებები);

4.5. საათების განაწილების სქემა - საათების განაწილებაში კოლეჯს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. შესაბამისად, კოლეჯის მიერ დამტკიცებული საათების განაწილების ცხრილი იქნება ან ზუსტად ანალოგიური ცენტრის მიერ დამტკიცებული განაწილების, ან საათების განაწილება სხვადასხვა კომპონენტს, ისევე როგორც სწავლის შედეგებს შორის იქნება გადათამაშებული, თუმცა ისე, რომ ჯამში საათების რაოდენობა უნდა უდრიდეს ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში მითითებულს. საათების განაწილების ცვლილებისას; დასაშვებია ცვლილება როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს);

4.6. მოდულის განხორციელების მიდგომები - ფორმულირებები შეიძლება შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის მიდგომებს;

4.7. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები -კოლეჯს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე, შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგის შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მ.შ. ერთი ინსტრუმენტით);

4.8. მოდულის განხორციელების ადგილი - იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ მოდულებს მემორანდუმის საფუძველზე სხვადასხვა მისამართზე სავალდებულოა იმ ადგილის ან ადგილების მითითება, სადაც მოდული ხორციელდება: მისამართი, ოთახი და სხვა;

4.9. ტექნიკური აღჭურვილობა - საგანმანათლებლო პროგრამას (მოდულს) თან უნდა ახლდეს დანესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ნორმატივში

მიითითებულ პარამეტრებს და/ან გამონაკლის შემთხვევაში ჩანაცვლებული აღჭურვილობა თუ ჩანაცვლებული აღჭურვილობა იძლევა მოდულის სწავლის მიღწევის შესაძლებლობას;

4.10. მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები - ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა;

4.11. შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები - შეფასების მიმართულება და მტკიცებულებები განვირგნოდა მოდულში და გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა და რა ტიპის ინსტრუმენტი უნდა შეირჩეს მტკიცებულებად, თუმცა კოლეჯს შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი. მთავარია ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს;

4.12. გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები - ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. კოლეჯმა უნდა შეიტანოს მის სბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქალაქში ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ-გვერდები და სხვა წყაროები, რასაც სასწავლებელი გამოიყენებს და კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი;

4.13. რეკომენდაციები სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შემზღვეული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის: უცვლელად რჩება და მოიცავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შემზღვეული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის;

4.14. მოდულის განმარტებული - საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის პროფესიული განათლების მასწავლებლის/ პროგრამის ხელმძღვანელის და განმარტებული მასწავლებლების მონაცემები. შესაძლოა მოდულს ორი ან მეტი პირი ახორციელებდეს. ამ შემთხვევაში მიეთითება ყველა მათგანი.

მუხლი 5. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება

5.1. კოლეჯი უფლებამოსილია შეიმუშავოს და განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მტკიცდება უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის მიერ.

5.2. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის გაანგარიშება ხდება კრედიტებით.

5.3. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისად, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგებს და საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე.

5.4. მოკლე ციკლის პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები დგინდება „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს ადგენს სამინისტრო.

5.5. კოლეჯს უფლება აქვს განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი/მხოლოდ ის მოდული, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს ავტორიზაციით.

5.6. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამატება ხდება კოლეჯში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად (იხ, მუხლი 2,3).

5.6. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ასოცირებული ხარისხი.

მუხლი 6. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების, მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსების შემუშავება და განხორციელება.

6. 1. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილების შესაბამისად.

6.2. პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

6.3. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შექმნა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

6.4. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძვლები შეიძლება იყოს:

- ა) პროფესიის სტანდარტი;
- ბ) პროფესიული-საგანმანათლებლო სტანდარტი;
- გ) მოდული/მოდულები;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილი მოთხოვნები;
- ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში ISCO-08-ს ან/და საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორში ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან.) იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

6.5. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება ხდება კოლეჯის მიერ მათი განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ხოლო მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის შემუშავება ხდება მსურველთა მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული მასწავლებელთან თანამშრომლობით.

- 6.6. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსება ხდება სამინისტროს მიერ 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილების შესაბამისად.
- 6.7. არაავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მიზნით, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნულ მოკლევადიან პროგრამებზე გაიაროს ავტორიზაცია.
- 6.8. კოლეჯის მიერ შემუშავებული მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის საფასური განისაზღვრება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი რესურსების დანახარჯის (ადამიანური და მატერიალური) დაანგარიშების შესაბამისად.
- 6.9. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის ბიუჯეტის დაგეგმვასა და განკარგვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხელმძღვანელობა.
- 6.10. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის მასალების ხარჯვის კონტროლს ახორციელებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.
- 6.11. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია.
- 6.12. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
- 6.13. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამები და მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსები მტკიცდება კოლეჯის უფლებამოსილი პირის, დირექტორის, მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. პროგრამაში ცვლილებების შეტანა

- 7.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
- 7.2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრ(ებ)ს, რის შედეგადაც განიხილება დარგობრივი კათედრის სხლომაზე.
- 7.3. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით.
- 7.4. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე პროცედურის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.
- 7.5. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ანობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

თავი III. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა.

მუხლი 8 . რეესტრის წარმოება

8.1. კოლეჯის რეესტრის წარმოება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

8.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ რეესტრი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დაწესებულების სრული დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე (შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მითითებით);

ბ) დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) დაწესებულების ტიპი;

დ) ავტორიზაციის მინიჭების თარიღი და ვადა;

ე) პროფესულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა (პროგრამაზე/მოდულზე);

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე; პროგრამის/მოდულების დაწყებისა და დასრულების თარიღი;

ზ) საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

თ) საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი, ვებგვერდი, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართ(ებ)ი);

ი) საბანკო რეკვიზიტები;

კ) ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ (გათობა/სივრცული ფორმა/ შენობის ზოგადი მდგომარეობა/ ბოლო რეაბილიტაციის წელი/ შენობის აშენების წელი/ რომელი ობიექტი საჭიროებს განახლებას);

ლ) დაწესებულების ობიექტები (სასწავლო ოთახების რაოდენობა/სასწავლო სახელოსნოების რაოდენობა/კომპიუტერული ლაბორატორიების რაოდენობა/სტუდენტთა ადგილების რაოდენობა კომპიუტერულ ლაბორატორიაში/პერსონალის ოთახის რაოდენობა/ადმინისტრაციული ოთახების რაოდენობა/საკონფერენციო დარბაზების რაოდენობა/პანდუსების რაოდენობა/სველი წერტილების რაოდენობა/ ადაპტირებული სველი წერტილების რაოდენობა/ინტერნეტის ხელმისაწვდომობა/ ლიფტი/ ბიბლიოთეკა/ პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი/ ადაპტირებული ხელსაწყობები/ადაპტირებული ავეჯი/ადაპტირებული ეზო, არსებობის შემთხვევაში კაფეტერია/სპორტული კომპლექსი, დამატებითი სპორტული მოედნები;

მ) დაწესებულების საერთო საცხოვრებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში(ოთახების რაოდენობა/აბაზანების რაოდენობა /სამზარეულოს რაოდენობა/პანდუსების რაოდენობა/ადაპტირებული სველი წერტილის რაოდენობა/ლიფტი/ადაპტირებული ავეჯი);

ნ) აღჭურვილობა (პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის კომპიუტერების რაოდენობა/ ტელეფონების/პრინტერის/სკანერის/ქსეროქსების/პროექტორის რაოდენობა /სკამების და მაგიდების რაოდენობა ადმინისტრაციისათვის/სკამების და მაგიდების რაოდენობა სტუდენტებისათვის და სხვ.);

ო) რა სახის აღჭურვილობა ესაჭიროება კოლეჯს გადაუდებლად;

პ) სხვა შენობა-ნაგებობა/მიწის ნაკვეთი (ობიექტის ტიპი, მისამართი, აშენების წელი, არის თუ არა რეაბილიტირებული, ბოლო რეაბილიტაციის წელი, ფართობი);

ჟ) პროფესიული სტუდენტის რაოდენობის ცვლილებაზე და არსებული სტატუსის შესახებ;

8.3. კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი;

მუხლი 9. პროფესიულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება, პროფესიული ტესტირების ენა და პროფესიული ტესტირების სამართლებრივი შედეგები

9.1 პროფესიულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს დადგენილი წესით პროფესიულ ტესტირებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

9.2 პროფესიული ტესტირება ტარდება ქართულ ენაზე.

9.3 ტესტირება შესაძლებელია ჩატარდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, აპლიკანტის მიერ მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შემთხვევაში.

9.4. ამ მუხლის 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი სარეგისტრაციო განაცხადში ტესტირების ენად მიუთითებს რუსულ ენას, იგი არ არის უფლებამოსილი უცხო ენად ჩააბაროს რუსული ენა.

9.5 პროფესიული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

9.6 ხელოვნების/სპორტის/ტურიზმის და მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სწავლის სფეროში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება შესაბამისი კონკურსის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხოლო კონკურსის არარსებობის შემთხვევაში - ტესტირების ჩაბარების საფუძველზე.

9.7. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის უფლების მოპოვება ხდება მხოლოდ დანესებულების მიერ ჩატარებული შესაბამისი კონკურსის საფუძველზე.

9.8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა ამ მუხლის 9.6 და 9.7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, უფლების მოპოვება ხდება ტესტირების ჩაბარების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აპლიკანტი დანესებულებაში ირიცხება შერჩევის საფუძველზე, რომელიც ტარდება დანესებულების მიერ განსაზღვრული წესით.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის ბრძანება # 93)

მუხლი 10. პროფესიული ტესტირების დაგეგმვა/ჩატარება და კოლეჯის მიერ აპლიკანტების მიღების გამოცხადება

10.1. პროფესიული ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით კოლეჯი:

ა) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში აცხადებს აპლიკანტთა მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახავს ინფორმაციას ამ პროგრამებზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის შესახებ

ბ) უზრუნველყოფს აპლიკანტთა რეგისტრაციას სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში;

გ) ხელს უწყობს ცენტრს ტესტირების ჩატარებაში;

დ) გამოყოფს აპლიკანტთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირს და ასრულებს მართვის სისტემის, ცენტრისა და სამინისტროს თანამშრომლების მითითებებს;

დ1) ვალდებულია ჩაატაროს ამ დებულების მე-9 მუხლის 9.8 პუნქტით გათვალისწინებული შერჩევა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში და შერჩევის თარიღი, დრო და ადგილი აცნობოს მართვის სისტემას რეგისტრაციის დასრულებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო შერჩევის შედეგები ტესტირების დასრულებიდან 2 დღის ვადაში ასახოს მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

კოლეჯი სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში აცხადებს აპლიკანტთა მიღებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

10.2. კოლეჯი კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 15%-ს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის ბრძანება # 93)

მუხლი 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში კონსულტაცია

11.1 აპლიკანტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში კონსულტაციის მიზნით, კოლეჯი სთავაზობს აპლიკანტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების იმ ჩამონათვალს და კანონმდებლობით კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს აპლიკანტმა მისთვის სასურველ პროგრამაზე ჩასარიცხად.

მუხლი 12. პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაცია

12.1. პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციისათვის, გარდა ამ მუხლის 12.2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, აპლიკანტი გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს სარეგისტრაციო ცენტრს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული ფორმით, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

12.2. ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, კოლეჯის მიერ დადგენილ კონკურსზე აპლიკანტი რეგისტრირდება კოლეჯში. კოლეჯი აპლიკანტის რეგისტრაციას უზრუნველყოფს ელექტრონული ფორმით, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით. კოლეჯს რეგისტრაციის დროს მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში შეაქვს მართვის სისტემის მიერ დადგენილი მონაცემები.

12.3. აპლიკანტი უფლებამოსილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით რეგისტრაცია გაიაროს ამ მუხლის როგორც 12.1, ასევე 12.2 პუნქტით დადგენილი წესით. თუმცა ამ მუხლის 12. 2 პუნქტით დადგენილი წესით, ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მიზნით რეგისტრაციისას, აპლიკანტი უფლებამოსილია რეგისტრაცია გაიაროს მხოლოდ ერთ კოლეჯში, ამავე კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

12.4. ამ მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადები დგინდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

12.5. აპლიკანტს ან სარეგისტრაციო ცენტრს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს სპეციალურ პროგრამაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

ა) აპლიკანტის პირადი ნომერი;

ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

გ) აპლიკანტისათვის სასურველი საგამოცდო ქალაქის/მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების საიდენტიფიკაციო

კოდი/კოდები, სადაც აპლიკანტს სურს სწავლის გაგრძელება. აპლიკანტს უფლება აქვს მიუთითოს არაუმეტეს 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლებზეც განსაზღვრულია პროფესიული უნარების საერთო ტესტის ტიპი და შესაბამისი საგანი/საგანთა ჯგუფი. აპლიკანტს უფლება აქვს ტესტირებაზე ჩააბაროს პროფესიული უნარების მხოლოდ ერთი ტესტის ტიპი და შესაბამისი საგანი/საგანთა ჯგუფი;

ე) აპლიკანტის მიერ არჩეული ტესტირების ენა. აპლიკანტს უფლება აქვს მიუთითოს ტესტირების მხოლოდ ერთი ენა;

ვ) აპლიკანტის მიერ ჩასაბარებელი უცხოური ენა. აპლიკანტს უფლება აქვს მიუთითოს მხოლოდ ერთი უცხოური ენა;

ზ) ინფორმაცია აპლიკანტისთვის ადაპტირებული გარემოს/საჭიროების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) მართვის სისტემისა და სამინისტროს მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

12.6. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით, ხოლო სარეგისტრაციო ცენტრის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება როგორც ერთჯერადი კოდის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე გაგზავნით, ასევე, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამიდან ამონაბეჭდით, რომელზეც ელექტრონულად დაიტანება სარეგისტრაციო ცენტრის რეგისტრაციის განმახორციელებელი თანამშრომლის მონაცემები (სახელი და გვარი) და გადაეცემა აპლიკანტს.

12.7. ამ მუხლის 12.4 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში, აპლიკანტს ელექტრონულ განაცხადში ცვლილებების განხორციელება შეუძლია სპეციალური ვებგვერდის მეშვეობით ან ამ მუხლის 12.8 პუნქტით დადგენილი წესით.

12.8. ამ მუხლის 12.4 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში სარეგისტრაციო ცენტრს/კონკურსის შემთხვევაში – დაწესებულებას ცვლილების განხორციელების უფლება აქვს აპლიკანტის მიმართვის შემთხვევაში, შემდეგი წესის დაცვით:

ა) აპლიკანტს უნდა მოსთხოვოს ამ მუხლის 12.6 პუნქტით განსაზღვრული ერთჯერადი კოდი და მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ცვლილებები შეიტანოს ერთჯერადი კოდის მეშვეობით;

ბ) მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ცვლილების განხორციელება დაადასტუროს ახალი ამონაბეჭდითა და გადასცეს აპლიკანტს.

12.9. ამ მუხლის 12.4 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

12.10. ამ მუხლის 12.5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსების დროს აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მართვის სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნებისთვის აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

12.11 მსურველთა ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და საინფორმაციო უზრუნველყოფას აწარმოებს დაწესებულების მიმღები კომისია, რომელსაც ქმნის და წევრებით აკომპლექტებს დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

12.12 მიმღებ კომისიას დაწესებულების ხელმძღვანელი ქმნის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან. იგი ვალდებულია:

ა) ამ წესით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, დაწესებულებაში ჩასარიცხად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, ხარვეზის შემცველობის შემთხვევაში - ხარვეზზე

მითითება და მის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად;

ბ) აწარმოოს ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სანდოობის შემოწმება;

გ) მოამზადოს და ხელმოსაწერად წარმოადგინოს დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები ჩარიცხვის მსურველთა ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

დ) აწარმოოს დაინტერესებულ პირთა ინფორმირება დაწესებულებაში ჩასარიცხად განსაზღვრული პროცედურების გავლის შედეგებისა და მათ მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების (ჩარიცხვა ან ჩარიცხვაზე უარის თქმა) შესახებ;

12.13 პროფესიული სტუდენტის „პირადი საქმე“ ყალიბდება მიმღები კომისიის მიერ და შემდგომი წარმოებისათვის გადაეცემა დაწესებულების საამისოდ უფლებამოსილ თანამშრომელს. სტუდენტის ”პირადი საქმე” მოიცავს:

ა) საბუთების მიღების ეტაპზე წარმოდგენილ ყველა დოკუმენტაციას, მათ შორის პირად (არასრულწლოვნის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადებას;

ბ) ნებისმიერ ისეთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია სტუდენტის უფლებებსა და მოვალეობებთან და მოქმედი კანონმდებლობის ან მხარეთა შეთანხმების თანახმად არ არსებობს მისი სხვა დოკუმენტებთან შენახვის ვალდებულება.

12.14. სტუდენტის ”პირად საქმეში” მოთავსებული დოკუმენტაცია დაწესებულების საკუთრებაა (გარდა უშუალოდ დედნის სახით წარმოდგენილი დოკუმენტისა) და რჩება მასთან. მის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აწარმოოს ”პირადი საქმის” შემადგენლობის აღრიცხვა და თანდართვა.

12.15. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად კოლეჯში წარმოსადგენი საბუთები:

ა) პირადი (სსსმ პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება,

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე. (საბუთების შემოტანისას უნდა წარმოადგინონ დედანი, რომელიც შედარდება ასლთან. ასლის წარმოდგენის შემთხვევაში ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიულად).

დ) მომდევნო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი

ე) ორი ფოტოსურათი 3x4 -ზე;

ვ) სხვა დოკუმენტის ასლი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითაა დადგენილი;

ზ) აღნიშნული დოკუმენტების გარდა დაწესებულებას უფლება აქვს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომელიც მითითებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისას განცხადებაში.

თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე პირმა, რომელსაც ზოგადი

განათლება მიღებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, უნდა წარუდგინოს კოლეჯს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან ატესტატის აღიარების დოკუმენტი.

ი) 2009 წლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 19 მარტის ბრძანების N 147, „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე პირმა, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე კოლეჯს უნდა წარმოუდგინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აღიარების დოკუმენტი.

კ) არასრულწლოვანმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობის ასლი და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლი, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 06 აგვისტოს ბრძანება # 78)

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის ბრძანება # 93)

მუხლი 13. პროფესიული ტესტირების ჩატარების დრო, საბოლოო შედეგები და ტესტირებაში მიღებული ქულების მოქმედების ვადა

13.1. პროფესიული ტესტირება ტარდება წელიწადში ერთხელ. ტესტირება ტარდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად, ხოლო კონკურსი/შერჩევა ამ წესით დადგენილი ვადების გათვალისწინებით კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

13.1.¹ კონკურსის ჩატარების ვადის განსაზღვრისას კოლეჯმა შესაძლებელია გაითვალისწინოს რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც, იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა.

13.2. ფორსმაჟორის, ტესტირების ჩატარების დროს ისეთი დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში, რაც გამონვეული იყო მართვის სისტემის/ცენტრის ბრალეულობით ან სხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ტესტირების ჩატარების ახალი ვადა და ადგილი.

13.3. ცენტრი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა განაწილების მიზნით ქმნის და ამტკიცებს რეიტინგულ სიებს.

13.4 რეიტინგულ სიებში აპლიკანტების განაწილება ხდება რეგისტრაციისას მათ მიერ არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის/ქულების, ასევე ამ მუხლის 13.5 პუნქტით გათვალისწინებული კოეფიციენტის მიხედვით.

13.5 რეიტინგულ სიებში აპლიკანტთა ადგილის განსაზღვრის მიზნით, მათ მიერ ტესტირებაში მიღებული ქულა/ქულების ჯამი მრავლდება რეგისტრაციის დასრულების მომენტისათვის აპლიკანტის ასაკისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღების სტატუსის შესაბამის კოეფიციენტზე შემდეგი წესით:

აპლიკანტთა ასაკის შესაბამისად, მათ მიერ მიღებული ქულა მრავლდება შემდეგ კოეფიციენტზე:

ა.ა) 19 წლის ჩათვლით – 1.3;

ა.ბ) 20-დან -29 წლის ჩათვლით – 1.1;

ა.გ) 30 წელი და ზევით – 1.

ბ) თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მის მიერ მიღებული ჯამური ქულა მრავლდება კოეფიციენტზე – 1.2.

შენიშვნა: ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ასაკობრივ კოეფიციენტთან ერთად „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში აპლიკანტის მიერ მიღებული ქულა მრავლდება იმ კოეფიციენტზე, რომელიც უფრო მაღალია. კოლეჯი ვალდებულია, საბუთების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამონურვიდან 3 დღის ვადაში აპლიკანტები ჩარიცხოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.

13.6 ხელოვნების/სპორტის/ტურიზმის და მასობრივი კომუნიკაციის/ჟურნალისტიკის სწავლის სფეროში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე თუ კოლეჯის მიერ განსაზღვრულია კონკურსი, აპლიკანტი ამ პროგრამაზე ირიცხება ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩასარიცხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და კოლეჯი მიერ დადგენილი კონკურსის შედეგების გათვალისწინებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ. კოლეჯი ვალდებულია, არაუგვიანეს ტესტირებიდან 2 დღისა, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახოს კონკურსის შედეგები (რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რანგის მითითებით). აპლიკანტების განაწილების მიზნით, დაწესებულების ხელმძღვანელი, აპლიკანტის მიერ კონკურსზე მიღებული ქულის/ქულებისა და დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით ქმნის რეიტინგულ სიას. რეიტინგული სია დამონშემულ უნდა იქნეს დაწესებულების ხელმძღვანელის ბეჭდითა და ხელმოწერით.

13.7 იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტის გადანაწილება ხდება ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩასარიცხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა (15%-ი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის) და კოლეჯს მიერ დადგენილი კონკურსის შედეგების გათვალისწინებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ. კოლეჯი ვალდებულია, არაუგვიანეს ტესტირებიდან 2 დღისა, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ასახოს კონკურსის შედეგები (რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რანგის მითითებით). აპლიკანტების განაწილების მიზნით, კოლეჯი ხელმძღვანელი, აპლიკანტის მიერ კონკურსზე მიღებული ქულის/ქულების გათვალისწინებით ქმნის რეიტინგულ სიას (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის). რეიტინგული სია დამონშემულ უნდა იქნეს დაწესებულების ხელმძღვანელის ბეჭდითა და ხელმოწერით.

13.8 ამ წესის მე-9 მუხლის 9.8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აპლიკანტებს, შერჩევის შედეგების საფუძველზე, რიცხავს კოლეჯი. კოლეჯი არაუგვიანეს ტესტირებიდან 2 დღისა უზრუნველყოფს შერჩევის შედეგების ასახვას მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში, ხოლო

აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

13.9 ამ წესის მე-9 მუხლის 9.8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია ჩარიცხოს ყველა აპლიკანტი, რომელმაც რეგისტრაციისას აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აირჩია (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა აპლიკანტი).

13.10 იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ტესტირების საფუძველზე ვერ მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, უფლება აქვს ტესტირებაში მიღებული ქულა/ქულები შეინახოს და გამოიყენოს მხოლოდ ერთხელ მომდევნო ტესტირების მიზნებისთვის. აპლიკანტთა რანჟირება განხორციელდება შესაბამისი კონკურსის გათვალისწინებით.

13.11 ქულის შენახვისა და გამოყენების მიზნით, მომდევნო ტესტირებაზე აპლიკანტი რეგისტრირდება თავიდან კანონით დადგენილი წესით.

13.12 აპლიკანტი/სარეგისტრაციო ცენტრი, აპლიკანტის ქულის შენახვის მიზნით დადგენილი წესით რეგისტრაციასთან ერთად ავსებს ელექტრონულ განაცხადს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) აპლიკანტის სახელი;

ბ) აპლიკანტის გვარი;

გ) აპლიკანტის პირადი ნომერი;

დ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ე) მართვის სისტემისა და სამინისტროს მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

13.13 ელექტრონული განაცხადის შევსების შემთხვევაში, მონაცემები მომენტალურად აისახება მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში.

13.14 აპლიკანტს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს ტესტირებაზე ამ დებულებით დადგენილი წესით და სცადოს გააუმჯობესოს წინა ტესტირებაზე მიღებული შედეგები. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მხოლოდ განმეორებითი ტესტირების დროს მიღებული შეფასებები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უფრო დაბალია, ვიდრე ადრე მიღებული შედეგები.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის ბრძანება # 93)

მუხლი 14. ხელშეკრულების გაფორმება კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

14.1. დაწესებულების ხელმძღვანელი ტესტირების დაწყებამდე/შერჩევის თარიღამდე განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას. აღნიშნული დოკუმენტაციის დაწესებულებაში წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

14.2. კოლეჯის ხელმძღვანელი ამ წესით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

14.3. პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დამხმარე თანამშრომელი.

14.4 ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს ხელშეკრულების საგანს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს კოლეჯში სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და სხვა დებულებებს.

14.5 ამ მუხლის 14.2-ე პუნქტით გათვალისწინებული წესით, კოლეჯის მიერ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ აპლიკანტის ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებას დაიწყებს ქართული ენის მოდულით.

14.6. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს კოლეჯი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ჩარიცხვის თავისებურებანი

15.1. აპლიკანტებმა, რომლებსაც სურთ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, უნდა გაიარონ კონკურსი კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

15.2. დაწესებულება ვალდებულია კონკურსის შედეგები ტესტირების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა ასახოს მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში.

15.3. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტთა რაოდენობის განსაზღვრისას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვროს თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 15% სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

მუხლი 16. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, რომელზეც ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების უფლების მქონე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია

16.1. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე, ჩარიცხება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების უფლების მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ნაკლებია ხუთზე და გადალახავს ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსებისათვის ჩარიცხვის შესაბამის წელს მოქმედ კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს გარე მობილობით, მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

ბ) დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის ან მის მიერ ჩაბარებული კონკურსის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

16.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღუდგება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი პროფესიული ტესტირების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის ბრძანება # 93)

მუხლი 17. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის გაგრძელება

17.1. პროფესიული სტუდენტი, რომელმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი პროფესიული ტესტირების ფარგლებში ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს სხვა კოლეჯში „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული იმ სწავლის სფეროს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

17.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ აკლდება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მომდევნო მიღებისათვის დადგენილ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

17.3. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, ქართული ენის მოდულის დაუძლეველობის შემთხვევაში, უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი

მუხლი 18. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებაში მონაწილეობის უფლება

18.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის ალტერნატიული წესით ტესტირების საჭიროება და აღნიშნულ ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება წარმოიშობა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 18¹. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო

18¹.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით კოლეჯი:

- ა) ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციას;
- ბ) სამინისტროს მიერ მიწოდებული ფორმატის შესაბამისად, უზრუნველყოფს ტესტირებაში მონაწილე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების ფორმირებას;
- გ) უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას;
- დ) სამინისტროს მიმართვის შემთხვევაში გამოყოფს შესაბამის შენობას ან მის ნაწილს და სათანადო ადამიანურ რესურსს;
- ე) ტესტირების დაგეგმვისა და მიმდინარეობის დროს ასრულებს სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომლების მითითებებს;
- ვ) ასრულებს სამინისტროს კონკრეტულ მითითებებს ტესტირების დაგეგმვისა და მიმდინარეობის პერიოდში;
- ზ) უზრუნველყოფს სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ტესტირების ჩატარებას;
- თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 18². სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

18².1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) რეგისტრაცია;
- ბ) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასება;
- გ) ტესტირება, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის, რომლებსაც სურთ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, მხოლოდ კონკურსი;
- დ) კოლეჯში ჩარიცხვა.

მუხლი 18³. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაცია

18³.1 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ტესტირებაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს სარეგისტრაციო ცენტრს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული ფორმით, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

18³.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადები დგინდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

18³.3. რეგისტრაციისას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევაში კონსულტაციის განწესის მიზნით, კოლეჯი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს სთავაზობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების იმ ჩამონათვალს, რომლისთვისაც კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი. 18³.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს ან სარეგისტრაციო ცენტრს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

- ა) აპლიკანტის პირადი ნომერი;
- ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების საიდენტიფიკაციო კოდი/კოდები (არაუმეტეს სამისა), სადაც აპლიკანტს სურს სწავლის გაგრძელება;
- დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობა – სპეციალურ გრაფაში.

18³.5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს სპეციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის დასრულებისთანავე ეცნობება, ხოლო სარეგისტრაციო ცენტრი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს განუმარტავს ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გავლიდან 4 სამუშაო დღის ვადაში კოლეჯში წარდგენის აუცილებლობას.

18³.6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით, ხოლო სარეგისტრაციო ცენტრის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება როგორც ერთჯერადი კოდის ელექტრონულ ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე გაგზავნით, ასევე, მართვის სისტემის სპეციალური პროგრამიდან ამონაბეჭდით, რომელზეც, მართვის სისტემის მიერ განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, ელექტრონულად დაიტანება სარეგისტრაციო ცენტრის რეგისტრაციის განმხორციელებელი თანამშრომლის მონაცემები (სახელი და გვარი) და გადაეცემა აპლიკანტს. ამონაბეჭდში ასევე მიეთითება ამ მუხლის 18³.10 პუნქტით გათვალისწინებული წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

18³.7. ამ მუხლის 18³.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს განაცხადში ცვლილების განხორციელება შეუძლია სპეციალური ვებგვერდის მეშვეობით ან მიმართვის შემთხვევაში, სარეგისტრაციო ცენტრის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, სარეგისტრაციო ცენტრს, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ცვლილების განხორციელების უფლება აქვს შემდეგი წესის დაცვით:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს უნდა მოსთხოვოს ამ მუხლის 18³.8 პუნქტით განსაზღვრული ერთჯერადი უნიკალური კოდი და მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ცვლილებები შეიტანოს ერთჯერადი უნიკალური კოდის მეშვეობით;

ბ) მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ცვლილების განხორციელება დაადასტუროს ახალი ამონაბეჭდითა და გადასცეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს.

18³.8. ამ მუხლის 18³.2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, გარდა ამ მუხლის 18³.9 განსაზღვრული შემთხვევისა.

18³.9. ამ მუხლის 18³.2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან 5 დღის განმავლობაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის სტატუსთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში შეიძლება განხორციელდეს ცვლილება, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.

18³.10. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გასვლიდან 4 სამუშაო დღის ვადაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი კოლეჯში წარადგენს:

ა) ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

ბ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში: ბ.ა)

აუდიოგრამას (სმენის დარღვევისას);

ბ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემულ ცნობას (მხედველობის დარღვევისას);

გ) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობას, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

დ) შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

18³.11. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, რომლითაც დასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადიდან 4 სამუშაო დღის ვადაში, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ელექტრონული ფორმით ეგზავნება კოლეჯს,

მუხლი 18⁴. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირება და შედეგები

18⁴.1. მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების განრიგს და ადგენს ტესტირების მაქსიმალურ ხანგრძლივობას.

18⁴.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების ალტერნატიული წესით ჩატარება მოიცავს მათ მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესატყვისი აქტივობების პრაქტიკულ მოსინჯვას.

18⁴.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების უზრუნველსაყოფად, კოლეჯის დირექტორი, სადაც განთავსებულია საგამოცდო ცენტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უზრუნველყოფს საგამოცდო კომისიის/კომისიების შექმნას.

18⁴.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი, ამ მუხლის 18⁴.2 პუნქტით გათვალისწინებულ ტესტირებაზე, მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისას, ამ მუხლის 18⁴.3 პუნქტით გათვალისწინებული საგამოცდო კომისიის მიერ ფასდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.

18⁴.5. ამ მუხლის 18⁴.3 პუნქტით გათვალისწინებული საგამოცლო კომისია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ტესტირებისას გაკეთებულ შეფასებებზე დაყრდნობით, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინტერესების გათვალისწინებით, მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას (შემდგომში – რეკომენდაცია) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.

18⁴.6. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რეკომენდაციის შემუშავებისას კომისია მხედველობაში იღებს აპლიკანტის რეგისტრაციის დროს (თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი).

18⁴.7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისას მიღებული შეფასება, დოკუმენტების ანალიზთან და რეკომენდაციასთან ერთად, ტესტირების დასრულებიდან 2 დღის ვადაში ეგზავნება სამინისტროს.

18⁴.8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადანაწილების მიზნით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა გადანაწილებას კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების გადანაწილებას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

18⁴.9. ამ მუხლის 18⁴.8 პუნქტით გათვალისწინებული გადანაწილების საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადანაწილების მიზნით, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

18⁴.10. სამინისტრო უზრუნველყოფს ამ მუხლის 18⁴.9 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ხელმისაწვდომობას კოლეჯისთვის, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას.

მუხლი 18⁵. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

18⁵.1. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 დღის ვადაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს.

18⁵.2. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან.

18³. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები, კოლეჯს, გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში, შეაქვს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

თავი IV. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე , სასწავლო ტრენინგ-კურსებზე მსმენელის სტატუსის მოპოვება

კოლეჯში მსმენელის სტატუსით სარგებლობს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე, სასწავლო ტრენინგ-კურსებზე ჩარიცხული ყველა მსურველი

მუხლი 19. მსმენელის სტატუსის მოპოვება

19.1. კოლეჯის მიერ განხორციელებულ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე, სასწავლო ტრენინგ-კურსებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა აქვს საბაზო განათლების მქონე ნებისმიერ პირს, თუ პროგრამით არ არის განსაზღვრული ბენეფიციართა სტატუსი;

19.2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის საკითხები, მსმენელის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, მსმენელის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ „პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.

19.3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სასწავლო ტრენინგ-კურსებზე მსმენელის ჩარიცხვა ხდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტით.

19.4 Cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსზე ჩარიცხვა ხორციელდება კურსის წინაპირობების გათვალისწინებით, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის და აკადემიაში ელექტრონული რეგისტრაციის საფუძველზე;

19.5. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი მოდულური პროგრამის სტუდენტები Cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო კურსზე რეგისტრირდებიან ელექტრონულად და ჩარიცხვის მიზნით სხვა ცალკე აქტი არ გამოიყენება;

თავი V. პროფესიული სტუდენტის (შემდომში სტუდენტის) /მსმენელის უფლებები, ვალდებულებები და შეზღუდვები

მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის /მსმენელის უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა.

20.1. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი

აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით.

20.2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 თავით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები, შეზღუდვები და სხვა რეგულაციები უნდა იქნას გაცნობილი პროფესიულ სტუდენტისათვის, რაც უნდა დადასტურდეს ხელშეკრულების გაფორმების დროს, პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ჩანაწერით.

20.3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები.

პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია:

21.1. უზრუნველყოფილ იქნას სწავლების მაღალი ხარისხით – მიიღოს ისეთი პროფესიული განათლება, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე.

21.2. სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურტექნიკური ბაზით.

21.3. უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით.

21.4. გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები და ისარგებლოს კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცით.

21.5. ისარგებლოს სტუდენტებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული საინფორმაციო ქსელით.

21.6. უზრუნველყოფილი იქნას პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის გასავლელად საჭირო პრაქტიკული ბაზით კოლეჯში ან კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციაში.

21.7. მოითხოვოს პრაქტიკული სწავლებისთვის განაწილებული იქნას თავის სამუშაო ადგილზე თუ პროფესიული სტუდენტი სწავლასთან ერთად მუშაობს პროფილით, შესაბამისი დოკუმენტის (ცნობის, შრომითი ხელშეკრულების და სხვ.) წარმოდგენის შემთხვევაში.

21.8. დირექციასთან შეთანხმებით ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით მეთვალყურეობის ფარგლებში დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად, შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსის არ ქონის შემთხვევაში.

21.9. სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განკუთვნილ შეფასების საათებზე დამაკმაყოფილებელი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში, მოითხოვოს გადაბარება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ მის მიერ დაუდასტურებელი მოდული არ არის სხვა მოდულების წინაპირობა, ხოლო წინაპირობის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დაადასტუროს სწავლის შედეგები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

21.10. საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს ან ისარგებლოს მობილობის და/ან კოლეჯის რეგულაციებით განსაზღვრული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში.

21.11. სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს სასწავლო პროცესის ათვისებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და ინსტრუქციები კოლეჯის და უშუალოდ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელებისაგან.

21.12. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.

21.13. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.

21.14. გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედება.

21.15. კოლეჯის არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

21.18. დადგენილი წესით მიიღოს შესაბამისი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

21.19. სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 22. პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები.

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

22.1. არ დაიგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე, არ დატოვოს აუდიტორია მეცადინეობის მიმდინარეობის დროს (გარდა განსაკუთრებული საჭიროებებისა, სათანადო ნებართვით).

22.2. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში (არაუმეტეს 3 დღისა) მოახდინოს ადმინისტრაციის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე, რის საფუძველზეც ადმინისტრაციის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება გაცდენების საპატიოდ ჩათვლა/არ ჩათვლის თაობაზე.

22.3. არ დაანაგვიანოს სასწავლებელის შენობა და ტერიტორია, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები.

22.4. გაუფთხილდეს და დაიცვას კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად.

22.5. არ ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებებით, რაც გამოიწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას.

22.6. პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზენოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი.

22.7. საცხოვრებელი ადგილის ან ტელეფონის ნომრის გამოცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

22.8. დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს.

მუხლი 23. პროფესიულ სტუდენტის შეზღუდვები.

პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

23.1. შენობაში თამბაქოს მოწევა.

23.2. ალკოჰოლური სასმელების და საქართველოს კანონმდებლობით უნებართვოდ აკრძალული ნივთიერების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება.

23.3. ალკოჰოლური თრობისას ან რომელიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას კოლეჯის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება.

23.4. კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

23.5. სასწავლო პროცესისადმი ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი და სხვა.

- 23.6. მეცადინეობაზე მობილური ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება.
- 23.7. პედაგოგის განკარგულების ან დავალების შეუსრულებლობა/ დაუმორჩილებლობა.
23. 8.შეფასების მიღების მცდელობა მექარით, ზემოქმედებით, თაღლითური ან სხვა დაუშვებელი მეთოდებით.
- 23.9. მეცადინეობების ჯგუფური მიტოვება.
- 23.10. მეცადინეობებზე სისტემატური დაგვიანება.
- 23.11. დაწესებულებაში სასწავლო გარემოსათვის შეუფერებელი სამოსით გამოცხადება.
23. 12.ადმინისტრაციის ბრძანებების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების დარღვევა.
- 23.13. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულაციებით/იურიდიული პირის მიერ განსაზღვრული წესით ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებლობა.

- 24.1. აუდიტორიაში სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროფესიული მასწავლებელი (შემდგომში მასწავლებელი).
- 24.2. თუ პროფესიული სტუდენტი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის მეცადინეობის მსვლელობას, მასწავლებელი უფლებამოსილია მოთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება და აცნობოს აღნიშნული გადაცდომის შესახებ სასწავლო პროცესის მენეჯერს და/ ან საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს და/ ან დირექტორის მოადგილეს, რომლებიც განიხილვევენ აღნიშნული გადაცდომის მიზეზებს და საჭიროების შემთხვევაში დააყენებენ ადმინისტრაციის წინაშე სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხს.
- 24.3. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანის, ქმედუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს).
- 24.4. პროფესიული სტუდენტის მიერ ამ წესის მე-20-ე, მე-21-ე და მე-22-ე პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინარულ გადაცდომად და კოლეჯი უფლებამოსილია დამრღვევ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მოსთხოვოს ახსნა– განმარტება და ჩადენილი დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ერთ–ერთი ფორმა:
- ა) გაფრთხილება;
 - ბ) შენიშვნა;
 - გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
24. 5. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას წარჩინებული, სანიმუშო, აქტიური პროფესიული სტუდენტების წახალისების შესახებ. ამ მიზნით, შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე. წახალისების ფორმით შეიძლება გამოყენებულ იქნას:
- ა) მაღლობის გამოცხადება;
 - ბ) სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი ნამუშევრით დასაჩუქრება;
 - გ) უფასო ექსკურსიის ორგანიზება;
 - დ) დასაქმება

თავი VI პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლებისა აღიარების და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელია მიღებული იქნას გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის შესახებ, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

25.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება დასაშვებია კოლეჯში დადგენილი წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

25.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება(არასრულწლოვანისა და ქმედუნარო სსსმ სტუდენტის შემთხვევაში განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას მშობლის/მეურვის მიერ, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება). მიზგზის მითითებით. მიზგზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი. კოლეჯი განიხილავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების სხვა საფუძვლებს, როგორცაა:

ა) სამხედრო სამსახურში ან რეზერვში ჩარიცხვა, რაც გამოირიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;

გ) აკადემიური შევებულება, რომელიც სტუდენტს შეიძლება მიეცეს: ხანგძლივი ავადმყოფობის გამო, ორსულობისა და ახალშობილის მოვლის, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო.

დ) ფინანსური დავალიანება (არასაბიუჯეტო მოკლევადიან სასწავლო ტრენინგ-კურსებზე სწავლის შემთხვევაში და/ან იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი თავად იხდის პროგრამაზე/მოდულზე სწავლის საფასურს);

25.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით გამოიცემა ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

25.4 დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

25.5 პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

25.6.სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

25.7.სტატუსშეჩერებული სტუდენტი (არასრულწლოვანი/ქმედუნარო/სსსმ პირის შემთხვევაში მისი წარმომადგენელი) ვალდებულია სტატუსის აღდგენის თხოვნით წერილობითი განცხადებით მიმართოს დირექციას პროგრამის შესაბამისი ეტაპის დადგომამდე, გონივრულ ვადაში.

25.8.სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით გამოიყვამ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

25.9.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა კოლეჯში, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

25.10 თუ კოლეჯი ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუს შეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ მუხლით დადგენილი პირობები.

25.11. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის თუ კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას რაზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესის 27-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

25.12.მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების, სასწავლო ტრენინგ - კურსის შემთხვევაში მსმენელისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზუსტად არის იდენტიფიცირებული კონკრეტულ პერიოდში ანალოგიური ტრენინგ-კურსის განხორციელების და მსმენელისათვის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა.

25.13.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება სტატუსის შეჩერებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში. ვადის გასვლის შემთხვევაში სტუდენტს ავტომატურად უწყდება სტატუსი, რაც აისახება დაწესებულების რეესტრში;

25.14 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შეიძლება დადგეს როცა პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.ასეთ შემთხვევაში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში), პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც ხარისხის მართვის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით.პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეიმუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუნარო/შემზღვეულ ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

მუხლი 26. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

25. 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დასაშვებია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

26.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება;

ბ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და შინაგანწესის მოთხოვნების სისტემატური ან ერთჯერადი უხეში დარღვევა (რა შეიძლება ჩაითვალოს უხეშ დარღვევად განიხილავს კოლეჯის დისციპლინური კომიტეტი კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში);

გ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

დ) სწავლის საფასურის გადაუხდელობა, თუ პროფესიული სტუდენტი თავად იხდის სწავლის საფასურს და არ ითხოვს პროფესიული სტატუსის შეჩერებას გადაუხდელობის გამო;

ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 3 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან კოლეჯის წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს კოლეჯის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

ვ) დაწესებულებისათვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ვერ/არ დადასტურება პროგრამის დასრულებამდე, ასევე მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული დამაკმაყოფილებელი შეფასების ვერ/არ მიღება, მათ შორის დამატებითი შეფასებით;

თ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი მოდულის სწავლის შედეგების ვერ დადასტურება, რომელიც არის წინაპირობა პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების, რომელთა საკონტაქტო საათების ჯამი შეადგენს სრული პროგრამის ერთ მესამედს;

ი) კოლეჯში, სასწავლო პროცესზე ერთი თვის მანძილზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

კ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით, გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ერთ მესამედზე მეტის გაცდენა (საპატიო, არასაპატიო);

ლ) გარდაცვალება;

მ) პირადი განცხადება;

ნ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოყენება;

ო) სასამართლოს მიერ ქმედუენაროდ აღიარების შემთხვევაში;

პ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

26.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოიყვამ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

26.4. ამ მუხლის მეორე პუნქტის „ი“, „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით), მის მიერ დაგროვილი გაცდენილი დღეების/საათების გამო მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

26.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

26.6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ბრძანების გამოცემამდე. იგი ვალდებულია დაფაროს დავალიანება.

26.7 ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

მუხლი 27. მობილობა

27.1 პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესი შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20/09/2019 წლის პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ N 198/6 ბრძანების საფუძველზე და არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სხვა დაწესებულებაში(დაწესებულებიდან)(გარე მობილობა) ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.

27.2 მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/6 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად და მობილობის დროისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების) სტუდენტს მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას სტუდენტის სტატუსი.

27.3 მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/6 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

27.4 მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე,რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

27.5 მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია კოლეჯში წარმოადგინოს განცხადება მობილობის შესახებ. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა. განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულების, დადასტურებული შედეგების შესახებ.

27.6 კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

27.7 მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორი ემნის შესაბამის კომისიას. კომისია ადგენს კოლეჯის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დანსებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

27.8 კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

27.9 მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

27.10 აღიარება ფორმდება კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – კოლეჯის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ხარისხის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის - ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. რის საფუძველზეც, ინდივიდუალური სიტუაციიდან გამომდინარე, ხარისხის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორს.

27.11 კოლეჯი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე კოლეჯიდან პროფესიული სტუდენტის გადასვლის, ასევე შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯი გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

27.12 პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით “პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმხორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე”.
(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

მუხლი 28. მიღებული (ფორმალური) განათლების აღიარება

27. 1.კოლეჯი ადგენს მის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ იმავე ან იმავე მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

28.2. პროფესიული სტუდენტისათვის პროგრამის კრედიტების აღიარების მიზნით, დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია მინიმუმ 3 პირის შემადგენლობით (შესაბამისი მოდულის პროფესიული მასწავლებლის და/ან შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლის ჩართულობით), ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის ცალკე-ცალკე.

28.3. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

28.4. გარე მობილობის შემთხვევაში, კრედიტების აღიარების მიზნით, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

28.5. კოლეჯი უფლებამოსილია, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის მიერ მიღებული პროფესიული განათლების თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

28.6. აღიარების კომისიის მიერ მიღებული საბოლოო შედეგი, გადაწყვეტილება, ფორმდება ოქმის სახით.

მუხლი 29. არაფორმალური განათლების აღიარება

29.1. არაფორმალური განათლება - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას;

29.2. არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული განათლების ფარგლებში აღიარების წესს და პროცედურას არეგულირებს სსიპ - კოლეჯ „ოპიზარში“ „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)

მუხლი 30. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება

30.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;

ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადანაცვტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ;

გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.

30.2. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ცვლის პროგრამის მისაღწევ მიზნებს და შედეგებს, ცვლილებები განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ხოლო გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი მოდულების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისად წინამდებარე წესის 28 - ე მუხლში დაწერილი პროცედურებით.

30.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების დადგენას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს შორის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესაძლებლობას.

30.4. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს იმავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;.

30.5. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექნილი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების ჩათვლას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და ინდივიდუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს.

30.6. მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შესახებ მოტივირებულ გადანაცვტილებას ღებულობს კოლეჯის დირექტორი კოლეჯში შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შესაბამისი პროგრამის სპეციალისტების, დამსაქმებლების და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირების) დასკვნის საფუძველზე; პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომიჯნავე პროგრამასთან გაერთიანების შესაძლებლობის საკითხი და ინფორმაცია მიანოდოს როგორც პროფესიულ სტუდენტს ასევე კოლეჯის ადმინისტრაციას. ამავე დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე მოიძიოს სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია მიანოდოს პროფესიულ სტუდენტს.

30.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში დასაშვებია მხოლოდ მომიჯნავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება. გაერთიანებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი სწავლის შედეგების აღიარებას.

30. 8. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს ვარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

30.9. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე დონის დასრულების შესაძლებლობა მიღწევად რეჟიმში.

30.10 არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადანყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.

თავი VII სასწავლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 31. სწავლის ხანგრძლივობა

31.1. კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების პროგრამების/პროფესიული გადამზადების პროგრამების/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის/ სასწავლო ტრენინგ - კურსების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი.

31. 2. პროფესიულ სტუდენტთა სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით.

31. 3. მსმენელთა სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი მოკლევადიანი პროგრამის, ტრენინგ-კურსის ხანგრძლივობით.

31.4. სწავლის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს, თუ:

- ა) პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა.
- ბ) ადგილი აქვს სხვა ობიექტურ გარემოებას.

მუხლი 32. სასწავლო/სალექციო დროის განაწილება

32.1. მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

32.2. პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორცილდეს სხვადასხვა ცვლაში ან მეცადინეობათა შეჭრილი გრაფიკით.

32.3. თუ ერთი და იმავე პროგრამის პარალელურ ჯგუფებში დარჩება სტუდენტთა მცირე რაოდენობა დირექცია უფლებამოსილია მიიღოს გადანყვეტილება ჯგუფების გაერთიანების თაობაზე, თუკი ეს არ გააუარესებს პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას ცვლილებიდან გამომდინარე.

32. 4. მეცადინეობების სასწავლო ცხრილი სწავლის დაწყებისთანავე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

- 32.5. მეცადინეობების სასწავლო ცხრილს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი დირექტორის მოადგილესთან ერთად რომელიც მტკიცდება დირექტორის სამართლებრივი აქტით;
- 32.6. მეცადინეობების ცხრილის ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული დირექტორის სამართლებრივი აქტით;
- 32.7. სასწავლო კვირა განისაზღვრება 5 კალენდარული დღით /შაბათი და კვირა – დასვენება/. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის გადანყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე, შაბათი და კვირა, როგორც სასწავლო დღე.
- 32.8. სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
- 32.9. სასწავლო კვირის მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს 30-40 სთ,გამონაკლისს წარმოადგენს წინამდებარე წესის 3.7. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები(აკადემიური საათი – 50 წთ).
- 32.10. ლექციებს შორის შესვენება განისაზღვრება 5წთ და ერთი დიდი შესვენება 10 წთ.
- 32.11. პროფესიულ სტუდენტთა დასწრებისა აღრიცხვისა და შეფასების მიზნით, კოლეჯში მოქმედებს ელექტრონული უურნალი (მატერიალური სახით აღრიცხვა წარმოებს მხოლოდ მოკლევადიან სასერთიფიკატო კურსებზე) უურნალის (ელექტრონული/მატერიალური) მეთვალყურეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება კოლეჯის შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომელს.
- 32.12. პროფესიული სტუდენტები ისვენებენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებულ უქმე დღეებში.
- 32.13. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ # 111 პრაქტიკის ობიექტებზე, რაც განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებებით.

VIII თავი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება

სტუდენტთა მიღწევების შეფასება უწყვეტი და სწავლების სრული ციკლის თანამდევი პროცესია. პროფესიული სტუდენტისთვის შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პერიოდის მანძილზე.

მუხლი 33. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

- 33.1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- 33.2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- 33.3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- 33.4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას.

33.5. თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.

33.6. აღნიშნული მუხლის მე- 5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

33.7. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის /წინაპირობების დაძლევის გარეშე.

33.8 სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.

33.9 შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

33.10 სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არათორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით;

33.11.სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, ანუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) სანარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მენტორი/ინსტრუქტორი;

33.12 კოლეჯსა და სანარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/სანარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, ანარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს საკვალიფიკაციო გამოცდის დროს;

33.13 მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურების/დაუდასტურებლობის შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 დღისა(წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე დღისა);

33.14 „პროფესიულ სტუდენტს ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შედეგი, რის შესახებაც პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს წერილობითი განცხადებით(წინმსწრები მოდულის შემთხვევაში იმავე დღეს) .კოლეჯის დირექტორი აღმინისტრაციული სამართლებრივი აქტით 2 დღის ვადაში ინვესს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს(საკმარისი/ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება ამავე ვადაში) და მიღებულ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 2 დღისა სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი აცნობს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს. წინმსწრები მოდულის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურის ვადები არ უნდა აღემატებოდეს ამ წესის მე-3 მუხლის 3.7 პუნქტით განსაზღვრულ 5 დღიან ვადას“

33.15 კოლეჯი არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.

მუხლი 34. შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვა

34.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია / შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ ინახება სასწავლებელში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

34.2 აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება
„საქმისწარმოების ერთიანი წესების“ შესაბამისად;

34.3 დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში;

34.4 უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

მუხლი 35. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები

35.1. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

35.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის(საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებებზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

35.3. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დანესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

35.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

35.5. სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში სასწავლო კურსის/მოდულის პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს დირექციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო საჭიროებ (ებ)ის შესახებ.

35.6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დანწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

35.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის საჭიროებების და სხვ. შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

35.8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა. შ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

35.9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

მუხლი 36. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

36.1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს კოლეჯი დირექტორის პრეროგატივას საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

36.2. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის კრედიტების ათვისება და შედეგების დადასტურება.

36.3. სამუშაოზე დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, საკვალიფიკაციო კომისია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, რომლის ჩაბარებაც პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს

36.4 საკვალიფიკაციო კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

36.5 საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის მდივანი დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი დონის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

36.6 კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი დონის განმსაზღვრელი პროფესიული დიპლომი დანართთან ერთად კოლეჯის მიერ დადგენილი წესით.

36.7 სსსმ/შშმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის სწავლის შედეგები ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.

36.8 მოკლე ციკლის პროგრამების სრული კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა მინიჭებული ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი;

36.9. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამებისა და სასწავლო ტრენინგ-კურსების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა სერტიფიკატი, რომლის ნიმუში მტკიცდება კოლეჯის უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ, შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მუხლი 37. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შექმნა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის წესი

37.1. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას მოდულის დაწყებამდე კოლეჯის მიერ შემუშავებული წერილობითი ფორმით;

37.2. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პარტნიორ საწარმოში კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შექმნას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს;

37.3. მასალებისა და ნედლეულის შექმნისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;

37.4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით;

37.5. კალენდარული წლის განმავლობაში (ყოველ 6 თვეში) მოდულის განმახორციელებელი პირის მონაწილეობით დგება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ჩამონერის აქტი.

37.6. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/პროდუქცია წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კოლეჯში სამი წლის განმავლობაში ან/და კოლეჯი უფლებამოსილია კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების განწევა.

37.7. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროდუქციის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/პროდუქციის შენახვა შეიძლება განხორციელდეს როგორც მატერიალური სახით, ასევე, ფოტო, აუდიო/ვიდეო გადაღების მეშვეობით ან/და სხვა მეთოდით.

37.8. სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში შექმნილი პროდუქტზე პასუხისმგებელია პროფესიული მასწავლებელი და მის მიერ ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, შესაბამისი კომისიის მიერ ჩამონერის პროცედურების განხორციელებამდე.

მუხლი 38. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

38.1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიაღვეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;

38.2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს.

38.3. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს დაწესებულების დირექტორისადმი წარდგენილ სამსახურეობრივ ბარათში.

38.4. კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

ა) ნარჩენების შეგროვება, ტიპობრივად დახარისხება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (ბაზაზე);

ბ) ნარჩენების გადატანა კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განთავსებულ სანაგვე კონტეინერებში;

გ) „ნარჩენების გატანა-დამუშავებაზე“ კოლეჯსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ნარჩენების გატანა კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიიდან;

38.5. ამ წესის მითითებული პირობების კონტროლი და პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორს, მოდულის განმხორციელებელ პირს და ბუღალტერს;

მუხლი 39. კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

39.1. კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შენობა ნაგებობა;

39.2. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B,C ;

39.3. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეში იქნას განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B ან B და C ან A და C გარემო.

39.4. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით;

39.5. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია. მერხების განლაგებით კედლების გასწვრივ ან „სასკოლო ტიპის“ განლაგებით, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერებით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით;

39.6. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.

39.7. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორ ცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

39.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, სპეციალიზებულ სახელოსნოებში, ღია სივრცეში. შესაბამისად, A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა;

39.9. B სასწავლო გარემოში სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმოცმაგი რაოდენობა;

39.10. პრაქტიკული მოდულები ან მოდულის სწავლის შედეგები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვის პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტებთან შესაბამისი ხელშეკრულებები;

39.11.20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

39.12. კონტიგენტის რაოდენობის პროექტს თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს დაწესებულების პერსონალი პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად, რასაც წარუდგენს ავტორიზაციის ექსპერტებს, რომელთა დასკვნა განიხილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე და მისაღები კონტიგენტის რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას გამოსცემს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

39.13 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის კვოტის განსაზღვრის ცხრილი

N	პროგრამის დასახელება და ხანგრძლივობა	A გარემოს რაოდენობა ფართობის მითითებით (ერთი სტუდენტი 2 კვ.მ)	B გარემოს რაოდენობა ფართობის მითითებით (ერთი სტუდენტი 2 კვ.მ)	C გარემოს რაოდენობა ფართობის მითითებით (ფართი ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით)	აღჭურვილობისა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისობა	განსაზღვრული კვოტა

მუხლი 40. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

40.1. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით;

40.2. ინტეგრირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვას პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე;

40.3. ინტეგრირებული ზოგადი მოდულები წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს და დაუშვებელია მათი პროგრამისგან დამოუკიდებლად განხორციელება;

40.4. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

40.5. პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.

40.6. პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

(ცვლილება- სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის ბრძანება # 136)